


შეთანხმებულია:
სსიპ გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორი
ნიკოლოზ ჩიხრაძე



03 აგვისტო 2023 წ.

განხილული და დამტკიცებულია:
სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ
სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი №14
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
ლევან ჯაფარიძე

03 აგვისტო 2023 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და
მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
(შემდგომში - ინსტიტუტი) ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან
დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების
(შემდგომში - განყოფილება) დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს
განყოფილების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, სტრუქტურას,
ორგანიზებას, ძირითად ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. განყოფილების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს
კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით,
საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით,
ინსტიტუტის წესდებით, ინსტიტუტის დირექტორის (შემდგომში - დირექტორი)
სამართლებრივი აქტებით და დებულებით.
2. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია
ინსტიტუტის დირექტორის, დირექტორის კურატორი მოადგილის და ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

მუხლი 3. განყოფილების სტრუქტურა

განყოფილების სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ფეთქებადი ნივთიერებების ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორია;
- ბ) პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორია;
- გ) ასაფეთქებელი კომპლექსის საინჟინრო - ექსპერიმენტული უზრუნველყოფის ჯგუფი.

მუხლი 4 . განყოფილების ხელმძღვანელობა

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.
2. განყოფილების უფროსი:
 - ა) ახორციელებს განყოფილების საერთო ხელმძღვანელობას და საქმიანობის კონტროლს, წარმართავს სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას;
 - ბ) უშუალოდ ხელმძღვანელობს განყოფილების ასაფეთქებელი კომპლექსის საინჟინრო - ექსპერიმენტული უზრუნველყოფის ჯგუფს;
 - გ) ახორციელებს განყოფილების ბიუჯეტის პროექტის, სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და პერსპექტიული სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავებას და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენას შესათანხმებლად;
 - დ) ახორციელებს ინსტიტუტის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით განყოფილებაზე განპიროვნებული სამუშაოების ხელმძღვანელობას;
 - ე) უზრუნველყოფს სტატიების, ნაშრომების მომზადებას, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას;
 - ვ) დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით მონაწილეობს სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;
 - ზ) უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით მომზადებას/მონაწილეობის მიღებას და პროექტების წარადგენას დასაფინანსებლად საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;
 - თ) ახორციელებს განყოფილების თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას;
 - ი) უზრუნველყოფს ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;
 - კ) უზრუნველყოფს განყოფილების სამეცნიერო სემინარების ორგანიზებას და მონაწილეობას;
 - ლ) აქტიურ მონაწილეობას იღებს განყოფილების სამეცნიერო საქმიანობაში;

- მ) ახორციელებს განყოფილების თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, დავალებების გაფორმებას და მათი მხრიდან შესრულების კონტროლს;
- ნ) წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;
- ო) ითანხმებს განყოფილების თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს;
- პ) წარუდგენს დირექტორს განყოფილების ბიუჯეტის პროექტს;
- ჟ) ახორციელებს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლს;
- რ) ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების შემუშავების ორგანიზებას და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენას;
- ს) ახორციელებს დირექციის წინაშე შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენას;
- ტ) მონაწილეობას იღებს განყოფილების საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში;
- უ) ახორციელებს კონტროლს განყოფილების თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- ფ) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;
- ქ) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;
- ღ) უზრუნველყოფს განყოფილების საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზებას დადგენილი წესის მიხედვით;
- ყ) ორგანიზებას უწევს და პასუხისმგებელია სხვა ორგანიზაციებთან განყოფილების პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე;
- შ) ახორციელებს განყოფილების სამეცნიერო სამუშაოების ჩართვის ორგანიზებას სახელმწიფო ან საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებულ დაფინანსებაში;
- ჩ) უზრუნველყოფს განყოფილების მოთხოვნილების განსაზღვრას მატერიალურ და ფინანსურ რესურსებში, შესაბამისი განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზებას დადგენილი წესის მიხედვით;
- ც) წარადგენს წინადადებებს განყოფილების თანამშრომელთა წახალისების ან სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე;
- ძ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში;

წ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში;

ჭ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს დირექციის სხვა დავალებების და მითითებებს.

3. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის და კურატორი დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე.

4. განყოფილების უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცენტრის უფროსის მოვალეობას დირექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს მის მიერ განსაზღვრული თანამშრომელი.

მუხლი 5 . ლაბორატორიის ხელმძღვანელობა

1. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

2. ლაბორატორიის უფროსი:

ა) ახორციელებს ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობას და საქმიანობის კონტროლს, წარმართავს სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას;

ბ) ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის შემუშავების ორგანიზებას და განყოფილების უფროსთან შეთანხმებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენას;

გ) სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

დ) ხელმძღვანელობს ლაბორატორიის კვლევის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელმეცრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე გაპიროვნებულ სამუშაოებს;

ე) უზრუნველყოფს სტატიების, ნაშრომების მომზადებას, დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას;

ვ) ახორციელებს დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობას;

ზ) უზრუნველყოფს პროექტების მომზადებას და დასაფინანსებლად წარდგენას საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით;

თ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას;

- ი) ახორციელებს ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;
- კ) ხელმძღვანელობს ლაბორატორიის სემინარული მუშაობას;
- კ.ა) სემინარული მუშაობა ითვალისწინებ ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებებში არსებული აქტუალური პრობლემების განხილვას, მათი გადაჭრისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შესრულებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო სამუშაოებს ანალიზს, მათი სამეცნიერო ღონის შესწავლას;
- კ.ბ) სემინარებზე განიხილება ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ ინდივიდუალურად და/ან ერთობლივად მომზადებული საკითხები, წინადადებები და პროექტები;
- კ.გ) სემინარული მუშაობის ასახვა ხორციელდება ოქმის გაფორმებით, რომელსაც ასრულებს ლაბორატორიის უფროსის მიერ გამოყოფილი თანამშრომელი და ინახება ლაბორატორიაში;
- ლ) ახორციელებს ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, დავალებების გაფორმებას და მათი მხრიდან შესრულების კონტროლს;
- მ) ითანხმებს ლაბორატორიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს;
- ნ) ცენტრის უფროსთან შეთანხმებით ახორციელებს ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და წარდგენას დირექტორისთვის;
- ო) ახორციელებს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლს;
- პ) განყოფილების უფროსთან შეთანხმებით ახორციელებს ლაბორატორიის შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენას დირექციის წინაშე;
- ჟ) მონაწილეობას იღებს ლაბორატორიის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში;
- რ) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;
- ს) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;
- ტ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზებას დადგენილი წესის მიხედვით;
- უ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევას, კონტროლს აღნიშნული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე და დაცვაზე;

- ფ) ახორციელებს ორგანიზებას და პასუხისმგებლობას სხვა ორგანიზაციებთან ლაბორატორიის პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე;
 - ქ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში;
 - ღ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში;
 - ყ) აკომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დირექციის და ცენტრის უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულებას.
3. ლაბორატორიის უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განყოფილების უფროსის წინაშე.
4. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მისი მოვალეობის შესრულება დაეკისროს სხვა თანამშრომელს.

მუხლი 6. განყოფილების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

1. კომპეტენციის ფარგლებში განყოფილების საერთო ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
- ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შესრულება განყოფილების სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად.
 - ბ) მისი დაქვემდებარების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დაგეგმვა, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა და კონტროლი.
 - გ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება;
 - დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილებებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შესაბამისი დავალებების განხორციელება.

მუხლი 7. ლაბორატორიების და ჯგუფის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

1. კომპეტენციის ფარგლებში ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
- ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად;
 - ბ) ფეთქებადი მასალების ჰიდროდინამიკური, თერმოქიმიური, თერმოდინამიკური და ტექნოლოგიური თვისებების კვლევა და მუშაუნარიანობის დადგენა;
 - გ) მყარი სხეულის აფეთქებით მიმართული რღვევის პროცესების კვლევა;
 - დ) როგორც ცნობილი, ასევე ახალი ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზი და კვლევა;
 - ე) უკონტაქტო აფეთქების მეთოდების შემუშავება და სრულყოფა;

- ვ) ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერებების დამუშავება;
- ზ) მასიური აფეთქებით გამოწვეული სეისმური ეფექტის კვლევა და საინჟინრო ნაგებობებზე მისი ზემოქმედების შემცირების ხერხების შემუშავება;
- თ) მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში აფეთქებითი სამუშაოების წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფა, ბუნებრივ და ისტორიულ ძეგლებზე მათი მავნე ზემოქმედებიდან დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;
- ი) ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების კომპიუტერული პროგრამების შემუშავება;
- კ) ფეთქებადი ნივთიერებების და აფეთქების საშუალებების ტესტირება და ექსპერტიზა;
- ლ) საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხო ტექნოლოგიების შერჩევა;
- მ) ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების პროექტირება;
- ნ) საინჟინრო ნაგებობების აფეთქებით დემონტაჟის პროექტების შემუშავება;
- ო) მუხტების სეისმო უსაფრთხო მასების და მანძილების გაანგარიშება;
- პ) აფეთქებითი სამუშაოების გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შემუშავება და მონიტორინგი;
- ჟ) აფეთქებით გამოწვეული დინამიკური დატვირთვების გაანგარიშების მეთოდების ანალიზი და დამუშავება;
- რ) აფეთქების ზემოქმედებისაგან დამცავი სისტემების შემუშავება და სრულყოფა;
- ს) სპეციალური დანიშნულების ობიექტების უსაფრთხოების ღონისძიებები;
- ტ) საბრძოლო მანქანებზე აფეთქების ზემოქმედების შეფასება;
- უ) სამთო ობიექტებზე დამუშავების პროცესებში აფეთქებებისაგან დამცავი სისტემების შემუშავება;
- ფ) გვირაბების მდგრადობაზე ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესების დინამიკური ზემოქმედების შესწავლა;
- ქ) აფეთქების ეფექტის კვლევა დინამიკური პროცესების თანამედროვე სარეგისტრაციო აპარატურის გამოყენებით, აფეთქების თერმოდინამიკური მახასიათებლების გამზომი მიკროსქემებისა და მოწყობილობების დაპროექტება, აფეთქების დეტექტორის უსადენო სისტემების შემუშავება;
- ღ) ჩქაროსნული პროცესების მარეგისტრირებელი საშუალებების (მაღალი სიჩქარის კამერები) ოპერირება;
- ყ) ელექტროგამზომი აპარატურის მომზადება (ოსცილოგრაფების, სიგნალის გამამდიერებლის, სენსორების და სხვა) ექსპერიმენტებისთვის და მათი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

შ) აფეთქებით დატვირთვის სქემების აწყობა/მონტაჟი დეტონაციის, სიჩქარისა და ნიმუშზე მოსული დინამიკური დატვირთვების გამზომი სქემების მონტაჟი და მიღებული სიგნალების რეგისტრაცია;

ჩ) სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების საფრთხეების შეფასება, აფეთქების ზემოქმედების კომპიუტერული მოდელირება და ანტიტერორისტული ღონისძიებების შემუშავება;

ც) საბრძოლო მასალების საწყობების უსაფრთხოების ღონისძიებების დაპროექტება;

ძ) დამცავი ბარიერებისა და აფეთქებამდეგი კარების კონსტრუქციების შერჩევა;

წ) სხვადასხვა ობიექტებისა და სამშენებლო ელემენტების (მაგ., ბეტონის, ფოლადის, გარსაცმის) აფეთქებამდეგობის ტესტირება;

ჭ) მაგარი ქანებისა და ბეტონის აუფეთქებლად რღვევის ტექნოლოგიის შერჩევა და სათანადო პროექტის შემუშავება (აუფეთქებლად დამრღვევი აგენტის გამოყენებით);

ხ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა.

ჯ) ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიული გეგმების და მიმდინარე სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება;

3) ლაბორატორიაში დამუშავებული თემის ანგარიშის მომზადება და დაცვა;

3¹) სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მომზადება;

3²) სამეცნიერო მიღწევების გამოქვეყნება დადგენილი წესით (სტატიები, ნაშრომები, გამოგონებები);

3³) ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა, ვებ-გვერდზე განსათავსებლად;

3⁴) დაარქივებისთვის გადასაცემი საქმეების ფორმირება და ჩაბარება;

3⁵) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;

3⁶) ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მომზადება დამოუკიდებელი მუშაობისათვის, დარგის პრობლემების ხედვის, მათი გადაწყვეტის გზების დასახვის და სრულფასოვანი ექსპერიმენტული კვლევების, სამუშაოს აღწერა-გაანალიზების და გუნდური მუშაობის ჩვევების გამომუშავების მიზნით;

3⁷) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება;

2. კომპეტენციის ფარგლებში პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად;

ბ) პოლიმერული ულტრა, ნანოსტრუქტურირებული დარტყმამდეგი კომპოზიტების კვლევა/დამუშავება;

- გ) პოლიმერული ულტრა, ნანოსტრუქტურირებული კოროზიამედეგი კომპოზიტების კვლევა/დამუშავება;
- დ) მრავალფუნქციური კომპოზიტების დამუშავება არაორგანული მასალების გამოყენებით;
- ე) ჰიბრიდული კომპოზიტების საექსპლოატაციო თვისებების შესწავლა/გაუმჯობესება;
- ვ) ჰიბრიდული კომპოზიტების ტექნიკური მახასიათებლების განმსაზღვრელი ტექნიკური ბაზის სრულყოფა.
- ზ) აფეთქებით წნეხვის, განმტკიცების, შედუღების და სინთეზის ტექნოლოგიების შემუშავება;
- თ) აფეთქების დარტყმითი ტალღებისა და საწყისი მაღალი ტემპერატურის გამოყენებით ზესალი მასალების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება;
- ი) ნანოსტრუქტურული კომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება;
- კ) აფეთქებით შედუღებით სხვადასხვა გვაროვანი მასალებისაგან ბიმეტალური და მრავალფენიანი საჯავშნე მასალების მიღება;
- ლ) საწყისი მაღალი ტემპერატურის პირობებში, დარტყმითი ტალღების მეშვეობით, ახალი მასალების სინთეზი;
- მ) ნანო ფხვნილების კომპაქტირება საწყისი მაღალი ტემპერატურის და დარტყმითი ტალღების ერთდროული მოქმედების გამოყენებით.
- ნ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა.
- ო) ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიული გეგმების და მიმდინარე სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება;
- პ) ლაბორატორიაში დამუშავებული თემის ანგარიშის მომზადება და დაცვა;
- ჟ) სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მომზადება;
- რ) სამეცნიერო მიღწევების გამოქვეყნება დადგენილი წესით (სტატიები, ნაშრომები, გამოგონებები);
- ს) ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა, ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
- ტ) დაარქივებისთვის გადასაცემი საქმეების ფორმირება და ჩაბარება;
- უ) ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მომზადება დამოუკიდებელი მუშაობისათვის, დარგის პრობლემების ხედვის, მათი გადაწყვეტის გზების დასახვის და სრულფასოვანი ექსპერიმენტული კვლევების, სამუშაოს აღწერა-გაანალიზების და გუნდური მუშაობის ჩვევების გამომუშავების მიზნით;
- ფ) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;

ქ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება.

3. კომპეტენციის ფარგლებში ასაფეთქებელი კომპლექსის საინჟინრო - ექსპერიმენტული უზრუნველყოფის ჯგუფის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების და ზემდგომის დავალებების ფარგლებში ასაფეთქებელი კომპლექსის საინჟინრო - ექსპერიმენტული სამუშაოების დაგეგმვა და შესრულება სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად;

ბ) ინსტიტუტის სამოქმედო პროგრამიდან და სსიპ სსსტც „დელტა“-ს დავალებების გათვალისწინებით სამუშაო გეგმა-გრაფიკის შემუშავება;

გ) ასაფეთქებელი კომპლექსის კამერის, გვირაბების, შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის მდგომარეობის მონიტორინგი, მათი მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ექსპერიმენტების ნებისმიერ დროს ჩატარების უზრუნველსაყოფად;

დ) ექსპერიმენტის კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე ასაფეთქებელი კომპლექსის შესაბამისად მომზადება;

ე) სამეცნიერო ექსპერიმენტების მომზადების, ტექნიკური საშუალებების შერჩევა და მათი ადაპტაცია ფიზიკურ პროცესებთან, რომელიც თან ახლავს აფეთქების ენერგიას;

ვ) აფეთქებითი კვლევითი სამუშაოებისათვის საჭირო სტენდების, კონსტრუქციების და ელემენტების დამზადება;

ზ) აფეთქების შედეგად დაზიანებული სტენდების, კონსტრუქციების და მოწყობილობების რეაბილიტაცია;

თ) კონსტრუქციული ნახაზების ანალიზი და შედულების მეთოდის შერჩევა არსებულ შესადულებელ კონსტრუქციებისთვის;

ი) შესადულებელი მეტალო კონსტრუქციების ზედაპირების მომზადება შედულებამდე და შედულების ტექნოლოგიის შერჩევა;

კ) მეტალის კონსტრუქციების შედულება მაღალი ხარისხით;

ლ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა;

მ) ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მომზადება დამოუკიდებელი მუშაობისათვის, დარგის პრობლემების ხედვის, მათი გადაწყვეტის გზების დასახვის და სრულფასოვანი ექსპერიმენტული კვლევების, სამუშაოს აღწერა-გაანალიზების და გუნდური მუშაობის ჩვევების გამომუშავების მიზნით;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება.

**მუხლი 8. განყოფილების/ლაბორატორიის/ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქცი-
მოვალეობები**

1. განყოფილების/ლაბორატორიის/ჯგუფის შემადგენლობა განსაზღვრება ინსტიტუტის საშტატო განრიგის შესაბამისად;
2. განყოფილების/ლაბორატორიის/ჯგუფის თანამშრომლების ფუნქცია-
მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, ინსტიტუტის
თანამდებობების სამუშაოთა აღწერით და განყოფილების/ლაბორატორიის უფროსის
მიერ მომზადებული სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად;
3. ცენტრის/ლაბორატორიის თანამშრომლები უზრუნველყოფენ შრომის
უსაფრთხოების წესების დაცვას და ინსტიტუტის შინაგანაწესით განსაზღვრული
მოვალეობების შესრულებას.

მუხლი 9. განყოფილების რეორგანიზაცია

განყოფილების რეორგანიზაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი
წესით.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებებისა
და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება ინსტიტუტის წესდებით დადგენილი
წესით.